ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 108 ოთხშაბათი, 4 დეკემბერი, 1918 წ. № 108



მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ოთხშაბათს, 4 დეკემბერს ვ. ა. ნიკოლსკის ათი წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეი— ზალიპსკისა და ნიკოლსკის მონაწილეობით

### 1. მოცარტი და სალიერი

საბანეევას, ზალიპსკის, პოლიაევის, ნიკოლსკისა და დემიანენკოს მონაწილეობით.

### II. სევილიელი დალაქი

დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე. ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს საბანეევას, ალეშკოს, კანშინის, ჟრონსკის, ნიკოლსკის და ისეცკის მონაწილეობით—„გუგენოტები“. შაბათს, დეკემბრის 7-ს ა. მ. კანშინის ბენეფისი. შულგინას, შვამბერგის, კანშინის, პალიაევის და ისეცკის მონაწილეობით „ნერონი“. კვირას, დეკემბრის 8 საბანეევას, მოროზოვას, ორდასა და ზალიპსკის მონაწილეობით „ლაკმე“. 1101 1—1 ოპერის წარმომადგენელი ს. ევლახოვი.

## ცენტრალური სასურსათო საბჭო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 6 მომავალ ქრისტეშობისთვეს დღით 12 საათზე არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა საბჭოს დარბაზში მადათოვის ქ. № 3. სასურსათო საბჭოს საქონლის გადატან-გადმოტანაზე ქ. ტფილისში, მაგ.: ტფილისის სადგურიდან საწყობებში სომხების ბაზარი (Армянскій базаръ) მანთაშევის ბნელი საწყობები (Темные ряды Манташева) კახეთის რკინის გზის ნავთლუღის სადგურიდან იმ ადგილებამდე, სადაც საბჭოს აგენტები მიუთითებენ, საწყობიდან საწყობში და სადგურზე და საზოგადოდ როგორც საჭიროება მოითხოვს. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, უნდა წარუდგინოს ამის შესახებ განცხადება ცენტრალურ სასურსათო საბჭოს, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს 1) თავის გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) მისამართი, 3) გადატანის ათას ფუთზე და 4) საშუალება რომლითაც ის აწარმოებს გადატან-გადმოტანის საქმეს. (ერთ ცხენიან თუ ორ ცხენიანი მარხილებით, ფურგუნებით, ავტომობილებით თუ სხვა) და რაოდენობა გადასატან-გადმოსატან საშუალებებისა. განცხადებები დაზღვეული და დახურული უნდა იყოს შემდეგი წარაწერით სასურსათო საქონლის გადატან-გადმოტანის ვაჭრობაზე მონაწილეობის მისაღებათ. ამგვარი განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სამმართველოში. უკანასკნელი ვადა განცხადებების წარმოდგენისა დანიშნულია 5 მომავალ ქრისტეშობისთვეს. ცნობების მიღება შეიძლება მიმწოდებელ განყოფილების უფროსთან.

1054 3—3 ცენტ. სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე ვ. არდიშვილი.

## სენაკის სამაზრო გამგეობა

იწვევს ორ ექიმს აბაშაში და ნოღალევში

სამუშაოთ. პირობები: ჯამაგირი თვეში 1000 მან., ბინა და სამგზავრო ხარჯები. მსურველთ ვსთხოვთ განცხადებანი გამოგზავნონ სამაზრო საერობო გამგეობის სახელზე ქ. ახალ-სენაკში, curiculum vitae-ს და წინანდელი სამსახურის რეფერენციების დედნებით.

1054 7—5 სენაკის სამაზრო გამგეობა,

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 85-5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

### მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლიათ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.

1093 7—2 სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.

## დრამატიული საზოგადოების

გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს დანიშნულია საზოგადო კრება აღნიშნული საზოგადოებისა. 1092 12—1

შორაპნის სამაზრო

## ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ შორაპნის მაზრაში საჭიროა შვიდი მომრიგებელი მოსამართლე. თხოვნებს ღებულობს გამგეობა 15 დეკემბრამდე (ახ. სტ.) მისამართი: ზესტაფონი—ერობის გამგეობას. 1064 5—5

## ექიმი ი. პ. ბაბაძე (?)

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.


## ოფიციალური განყოფილება

### კანონი

#### გადასახადის აკრეფისა.

1. აკრეფა სახელმწიფო, საერობო, ქალაქისა და სხვა უდავო წესით მოსათხოვარ გადასახადებისა, აგრეთვე შესრულება სათანადო პირის და დაწესებულების მინდობილობისა გადასახადის გამო ჩაბარება გადასახადის ფურცლისა, ყოველგვარი უწყებისა, შეკითხვისა და მოსაგონელ ბარათისა, დაევალოს:

ა) ტფილისსა, ქუთაისსა, სოხუმსა და ფოთში მილიციის რაიონის თანაშემწისა და უფროს და უმცროს მილიციონერებისაგან შედგენილ საგანგებო ხარჯთ-ამკრეფ მილიციას, რომელსაც ქალაქის მილიციის უფროსი გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით გამოჰყოფს საერთო მილიციიდან გადასახად უბანთა რაოდენობის მიხედვით.

ბ) დანარჩენ ქალაქებსა და ქალაქ გარეშე ადგილებში კი ქალაქის მაზრის და სოფლის საერთო მილიციას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განსაზღვრა საგანგებო ხარჯთ-ამკრეფ მილიციის რიცხვისა და შედგენილობისა ამ მუხლის ა. პუნქტში ჩამოთვლილ ქალაქებისათვის და განაწილება საგადასახადო უბანთა შორის დაევალოს ფინანსთა მინისტრს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით.

2. გადასახადის აკრეფის დროს საგანგებო ხარჯთ-ამკრეფ მილიციას ეკუთვნის ყოველი უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს საერთო მილიციას მოქმედი კანონებით.

3. საგანგებო მილიციის საერთო ხელმძღვანელობა და მისი მოქმედების თვალყურის დევნება დაევალოს: სახელმწიფო და საერობო გადასახადებისათვის—გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსს და გადასახადთა ინსპექტორს, ქალაქისათვის კი სათანადო ქალაქის გამგეობას.

4. გადასახადთა და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველო და ხაზინა, როდესაც ისინი საგანგებო ან საერთო მილიციას კუთვნილებისამებრ ცნობებს უგზავნიან დარჩენილი გადასახადებისას, დაუყოვნებლივატყობინებენ გადასახადთა ინსპექტორებს დროს ასეთი ცნობების გაგზავნისას. გადასახადთა ინსპექტორები თვალ-ყურს ადევნებენ მილიციას თუ რამდენად სწრაფად და კანონიერად ასრულებს იგი თავის მოვალეობას, მიუთითებს მას, თუ რა საშუალებას უნდა მიჰმართოს გადასახადების აკრეფის დროს და უჩვენებს რომელ ქონებიდან უნდა აღებულ იქმნეს დარჩენილი გადასახადი.

5. თუ დარჩენილი გადასახადი არ იქნა აკრეფილი ქალაქებში ორი თვისა და ქალაქ გარეშე ადგილებში ექვსი თვის განმავლობაში დღიდან დარჩენილ გადასახადის ცნობის მიღებისა, მილიციის მიერ, ამის თაობაზე მილიციამ მოხსენება უნდა წარუდგინოს გადასახადთა და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველოს.

6. გადასახადთა და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველო მიიღებს რა მილიციის მოხსენებას აუკრეფელ დარჩენილ გადასახადების თაობაზე დადგენილებას გამოიტანს იმ ქონების საჯაროდ გაყიდვისათვის, რომელზედაც დარჩენილია გადასახადი. საჯარო გაყიდვა უნდა მოხდეს იმ წესით, რომელიც მიღებულია ხაზინის უდაო საქმეთა გამო გადახდევინების დებულებით იმ განსხვავებით, რომ გუბერნიის სამმართველოს მოვალეობას შეასრულებს გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველო და პოლიციის მოვალეობას კი—საგანგებო და საერთო მილიცია კუთვნილებისამებრ.

7. გადასახადთა და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველო და ხაზინა დაუგზავნიან რა მილიციას გადასახადის ფურცლებს, დაუყონებლივ აუწყებენ გადასახადის ინსპექტორს დროს ასეთი ფურცლების დაგზავნისას. უკანასკნელი თვალყურს ადევნებს თუ რამდენად სისწორით და თავის დროზე ასრულებს მილიცია სამმართველოსა და ხაზინის მინდობილებას.

8. მაზრის (ოლქის) კომისარი ვალდებულია ყოველდღიურად აცნობოს გადასახადის ინსპექტორს, თუ რა იძულებითი ზომები მიიღო დარჩენილი გადასახადების ასაკრეფად. ამასთანავე კომისარი ვალდებულია დაწვრილებით განუმარტოს გადასახადის ინსპექტორს ყოველი შემთხვევა, როცა მილიციისაგან სისრულეში არ იქნა მოყვანილი ინსპექტორისაგან ნაჩვენები ღონისძიებანი დარჩენილი გადასახადების ასაკრეფად.

9. სოფლის საზოგადოების ყოველი განაჩენი მოსახლეთა შორის გადასახადთა განაწილების თაობაზე, სოფლის კომისარმა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად გადასახადის ინსპექტორს. თუ ინსპექტორი განაჩენს სწორად შედგენილად არ მიიჩნევს, ან დაინახავს რომ ზოგიერთ მოსახლეზე ზედმეტი გადასახადია გაწერილი, ასეთს განაჩენს დაუბრუნებს საზოგადოებას მის მიერ ნაჩვენებ შესწორების შესატანად ან და სრულიად ახალი განაჩენის მისაღებად.

10. გადასახადის ინსპექტორს უფლება აქვს რევიზია უყოს საგადასახადო მილიციის მოქმედებას და მისი საქმის წარმოებას, აგრეთვე მაზრისა, რაიონისა და სოფლის კომისარიატში საგადასახადო საქმის წარმოებას.

11. გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსისა და საგუბერნიო კომისარს შორის გადასახადების აკრეფით გამოწვეული უთანხმოება გადაეცემა ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრებს გადასაწყვეტად ურთიერთ შორის შეთანხმებით.

12. ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს ეს კანონი განმარტოს ცალკე ინსტრუქციით.

1918 წ. ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

### კანონი

#### სააქციზო უწყების ორგანიზაციისა საქართველოს მიწა-წყალზე.

1. ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველო და მისი ოლქები: I, II, VI და VIII 1918 წ. აგვისტოს პირველიდან გაუქმებულნი არიან და ყველა ამ დაწესებულების მოხელე დატოვებულია შტატ გარეშე. ამასთანავე გაუქმებულია თანამდებობა: რევიზორებისა, სამოსამართლო ნაწილის მოხელისა, ტეხნიკოსისა, საოლქო ზედამხედველისა, მისი თანაშემწეებისა, უფროს და უმცროს კონტროლიორებისა (გარდა თამბაქოს ქარხნის კონტროლიორისა) და აქციზის მეთვალყურეებისა.

2. მოხელე, რომელიც არ იქნება ხელახლად დანიშნული ახლად დაარსებულ სააქციზო სამმართველოში რაიმე ადგილზე, მიიღებს სალიკვიდაციო დახმარებას თანახმად 1918 წლის ივლისის 5-ს კანონისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: ბათომის სააქციზო ოლქი, თანახმად ივლისის 20-ის კანონისა, გაუქმებულია 1918 წ. ივლისის პირველიდან. ამავე რიცხვიდან (ივლისის პირველიდან) დათხოვნილად ითვლებიან აღნიშნულ ოლქის მოხელენი, რომელთაც მასთანავე სალიკვიდაციო დახმარების მიღების უფლება ესპობათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: მოხელე, რომელიც 1918 წ. მაისის 26-მდე დროებით სამუშაოდ იყო მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეული ყოფილ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ოლქიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, მიიღებს სალიკვიდაციო დახმარებას.

3. დაარსდეს სააქციზო სამმართველო ქალ. ტფილისში. ეს სამმართველო განაგებს საქართველოში აქციზის ყოველნაირი დარგის საქმეს შემდეგი შედგენილობით: სამმართველოს უფროსი, მისი თანაშემწენი, მდივანი და ბუხჰალტერი თანაშემწეებით, საქმის მწარმოებლები, რეგისტრატორები და მანქანით გადამწერნი.

4. როგორც ქალაქებში, აგრეთვე მაზრებში ადგილობრივ სააქციზო საქმეებს განაგებენ ინსპექტორები თავისი უფროსი და უმცროსი თანაშემწეეებით და კონტროლიორებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კონტროლიორი დაინიშნება მხოლოდ თამბაქოს ქარხნის ზედამხედველად.

5. სამმართველოს უფროსი განაგებს, სათანადო კანონების მიხედვით აწესრიგებს და ჰხელმძღვანელობს სააქციზო გადასახადის საქმის წარმოებას, დაიცავს ხაზინის ინტერესს, მიიღებს კანონიერ ზომებს შემოსავლის გასადიდებლად და ამასთანავე პასუხისმგებელია აქციზის საქმის აღორძინება-განვითარებისთვის.

6. უფროსის თანაშემწე ასრულებს ყველა საქმეს, რომელსაც უფროსი დაავალებს. აწარმოებს მოხელეთა მოქმედების რევიზიას, განაგებს კანცელარიას და ასრულებს უფროსის მოვალეობას, როდესაც უკანასკნელი, რაიმე მიზეზის გამო, სხვაგან არის.

7. ინსპექტორის მოვალეობაა მიიღოს ყოველნაირი კანონიერი ღონისძიება, რომ სააქციზო გადასახადების საქმე მისდამი რწმუნებულ საზღვრებში სრულდებოდეს მტკიცედ და წესიერად. ამასთანავე მან საჭირო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს თავიანთ თანაშემწეებს და თამბაქოს ქარხნის კონტროლიორებს.

8. სააქციზო სამმართველოს უფროსს დანიშნავს მთავრობა, თანახმად ფინანსთა მინისტრის წარდგენისა.

9. სამმართველოს უფროსს თანაშემწეებს, ინსპექტორებს და მათ თანაშემწეებს დანიშნავს ფინანსთა მინისტრი სააქციზო სამმართველოს უფროსის წარდგენით, დანარჩენ მოხელეებს დანიშნავს სამმართველოს უფროსი.

10. რიცხვი ამ კანონში აღნიშნულ მოხელეთა და რაოდენობა მათი ჯამაგირისა განსაზღვრულია ამასთანავე დართულ შტატში.

11. ყოველი საქმე და ქონება ამიერ-კავკასიის სააქციზო სამმართველოსი და აგრეთვე I, II და VI ოლქებისა გადადის საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველოს ხელში, მასვე უნდა გადაეცეს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეები, რომელიც სწარმოებს ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის საზღვრებში.

12. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან სააქციზო უწყებისათვის, თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა, 1918 წლის აგვისტოს პირველიდან წლის დამლევამდე სამას ოცდა ცხრამეტი ათას რვაას ორმოცდა ხუთი (339,845) მანეთი შემდეგი განაწილებით: 1) ჯამაგირისათვის—319,745 მან., 2) ბინისათვის—2100 მან., 3) საკანცელარიო და სხვა სამეურნეო ხარჯისათვის—10,000 მან. და 4) პროვინციელი ინსპექტორთა საკანცელარიო და სხვა ხარჯებისათვის 8000 მანეთი.

1918 წ. ნოემბრის 19-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## სააქციზო სამმართველოს შტატი.

| №№ რიგზე. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | რ ი ც ხ ვ ი. | წლიური ჯამაგირი თვითეულს. | საგზაო, ხარჯი თვითეულს. | ყველას წლიურად. | ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამმართველოს უფროსი | 1 | 12000 | 2400 | 14400 | 6000 |
| 2 | მისი თანაშემწე | 2 | 10200 | 2400 | 25200 | 10500 |
| 3 | ბუხჰალტერი | 1 | 8700 | — | 8700 | 3625 |
| 4 | მისი თანაშემწე | 3 | 7200 | — | 21600 | 9000 |
| 5 | მდივანი | 1 | 4800 | — | 8400 | 3500 |
| 6 | მისი თანაშემწე | 2 | 7200 | — | 14400 | 6000 |
| 7 | საქმის მწარმოებელი I რიგისა | 4 | 6000 | — | 24000 | 10000 |
| 8 | საქმის მწარმოებელი II რიგისა | 4 | 5400 | — | 21600 | 9000 |
| 9 | რეგისტრატორი | 2 | 5400 | — | 10800 | 4500 |
| 10 | მანქანით გადამწერი | 2 | 4800 | — | 9600 | 4000 |
| 11 | შიკრიკი | 3 | 3600 | — | 10800 | 4500 |
| 12 | ინსპექტორი ქ. ტფილისში | 2 | 9600 | 800 | 20800 | 8670 |
| | მაზრებში და სხვა ქალაქ. I რიგისა | 7 | 9600 | 1500 | 77700 | 32375 |
| | მაზრებში და სხვა ქალაქ. II რიგისა | 7 | 9000 | 1500 | 73500 | 30625 |
| | ინსპექტორის თანაშემწე ქ. ტფილისში | 12 | 6600 | 600 | 86400 | 36000 |
| | მაზრებში | 25 | 6600 | 960 | 189000 | 78750 |
| | უმცროსი თანაშემწე | 20 | 6000 | 960 | 139200 | 23200 |
| | თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი | 15 | 6000 | — | 90000 | 37500 |
| | სოხუმის ინსპექტორის საქმის მწარმოებელი | 1 | 4800 | — | 4800 | 2000 |
| | | — | — | — | 850900 | 319745 |

### დ ა მ ა ტ ე ბ ა:

1. აქციზის სამმართველოს ბინის ქირა . . . . . 2100
2. საკანცელარიო, გათბობა, განთება და სხვა სამეურნეო ხარჯი . . . . . 10000
3. ქ. ქ. ქუთაისში, ფოთში ზესტაფონში, სიღნაღში, თელავში და გორში, ექვს ინსპექტორს უნდა მიეცეს წლიურ საკანცელარიო ხარჯად 2000 მ. თვითეულს. სოხუმში 1000 მ. და დანარჩენს ცხრას 600 მ. თვითეულს. ხოლო წლის დამლევამდე . . . . . 8000

სულ . . 339845

1918 წ. ნოემბრის 19-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში.

### ლიკვიდაციისთვის.

გადაიდვას ხაზინიდან ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის განკარგულებაში 200,000 მანეთი შტატების შემცირების გამო დათხოვნილ მოხელეთა სალიკვიდაციო ფულით დასაკმაყოფილებლათ.

### ოსთა ეროვნულ საბჭოს შესახებ.

განათლების მინისტრის მოხსენება ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობაზე მოწონებულ იქმნას.

### საფარის მონასტრის შესახებ.

ქართველ მამათა სავანეს „უმანკო ჩასახების“ ბერების თხოვნა საფარის მონასტრის დათმობაზე გადაეცეს საკათალიკოსო საბჭოს და მიენდოს მისი გადაწყვეტა. ამასთანავე ეცნობოს საკათალიკოსო საბჭოს, რომ მთავრობას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს საფარის მონასტერის „უმანკო ჩასახების“ სავანესათვის გადაცემისა.

### ბეითალ-ექიმთა შესახებ.

დროებით ბეითალ ექიმებს და მათ ფერშლებს მიემატოთ დღეში 10 მანეთი 1918 წლ. სექტემბრიდან.

### ლიკვიდიციის გამო.

შრომის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო რკინის გზების მუშათა და მოსამსახურეთა სალიკვიდაციო კომისიის მუშაობა ცნობილ იქმნას დამთავრებულათ. მოესპოს ფულის მიცემა ყველა იმათ, ვინც ამ კომისიაში ვერ გაასწორა ანგარიშები და მიეცეს მათ წინადადება მიმართონ მათ რკინის გზების სამართველოს საკრედიტო მოწმობების მისაღებათ.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### სააფთიაქო ნიხრი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა იცნო საჭიროთ, რათა შეცვლილ იქნეს და სრულიად მოსპობილი აფთიაქის მედიკამენტებზე ფასის 20 პროცენტით გადიდების საკითხი, რომელიც 21 ნოემბერს ამა წლისა დამტკიცებულ იქნა საგანგებო დანიშნულ კომისიის მიერ და ახლათ გადაშინჯულ იქმნეს სააფთიაქო ნიხრი (taxa laborum) თანახმად დღევანდელ ფასებისდა მიხედვით ბაზარზე. ეს ბრძანება მინისტრისა ეცნობა სამედიკო-სასანიტარო ნაწილის უფროსს ექიმ ზანდუკელს შესაფერ განკარგულების გაცემისათვის.

### ავაზაკებთან ბრძოლა და ხალხის მადლობა

შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის რწმუნებულის პარლამენტის წევრის ანდრონიკაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო თელავიდან: „ყაჩაღთა და მათ აგენტების შეპყრობის საქმე ჩინებულათ მიმდინარეობს უმსხვერპლოთ ჩვენი მხრით. ყველგან თანაგრძნობას გვიცხადებს ხალხი მათ შეპყრობისათვის. გლეხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, რომ თავიდან მოიშორეს მათი გამანადგურებელნი. თელავის მოქალაქენი მართავენ კრებებს, რომელზედაც გამოაქვთ დადგენილებანი მთავრობის ამნაირ ნაბიჯების მოწონების შესახებ და აგრეთვე პირობა, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას.

# განათლების სამინისტროში

### პროგრამის შედგენა.

სწავლა-განათლების მინისტრის დავალებით განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა ბერიძემ შეადგინა ქართულ ენის პროგრამა უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებელთათვის, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოიცემა.

### სასწავლებლის დახურვა.

განათლების სამინისტრომ განიხილა მეოთხე გიმნაზიის დირექტორისაგან წარმოდგენილი მოხსენება ზაალიშვილის კერძო გიმნაზიის შესახებ და გადაწყვიტეს „კაალის“ გიმნაზია დაიხუროს, როგორც განათლების სამინისტროსათვის შეუფერებელი სასწავლებელი.

# გზათა სამინისტროში.

### ტყვიბულის მაღაროების საკითხი.

ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროების გამგე ინჟ. აბაშიძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო გზათა მინისტრმა:

„თანახმათ თქვენი განკარგულებისა მოვახდინე მაღაროებში ყოველ მომუშავესთან ანგარიშის გასწორება. დავსტოვე დროებით მაღაროებში პასუხის მგებელნი სრულიათ ანგარიშების შესადგენათ და მაღაროების ქონების დასაცველათ. დარჩნენ გაუსწორებელნი სანოვაგის მომწოდებელნი. დატოვებულნი მოსამსახურენი ნოემბრისთვის ანგარიშით და 150 მუშა, რომელნიც არ გამოცხადნენ და გატყობინებთ ამით, რომ ყოველივე ანგარიშის გასწორება ზემო აღნიშნულ პირებთან მოითხოვს დამატებით პირველ დეკემბრამდე 200.000 მანათს. დღეს ტყვიბულიდან გამოვდივარ ქუთაისში, დავყოფ 2 დღეს გუბერნიის და შრომის კომისართან მაღაროების რამოდენიმე საკითხების გამოსარკვევათ და აქედან ჩამოვალ ტფილისში. მუშებთან ანგარიშის გასწორებამ მშვიდობიანათ ჩაიარა.

---

ტყვიბულის სასკოლო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ბოჭორიშვილი დეპეშითა სთხოვს გზათა სამინისტროს, რომ მან მისცეს ვაგონების ნებართვა მის მიერ ნებადართულ 50 ათას ფუთ ნახშირის დასაგზავნათ დანიშნულებისამებრ.

### გაზიდვის წეს-რიგი.

რკინის გზის მოძრაობის უფროსმა აბელაშვილმა შემდეგი დეპეშა დაუგზავნა ლიანდაგის ყველა უფროსთ და ორგანიზაციებს: „თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ამა წლის 15 ნოემბრის მთავრობის დადგენილებისა დაწესებულ იქმნა შემდეგი წეს-რიგი თამბაქოს გაზიდვის შესახებ რესპუბლიკის საზღვრებიდან: 1) აქციზ გადახდილ თამბაქოს ნაწარმოებთა გაზიდვის უფლება ეძლევათ თამბაქოს მექარხნეებს აღმოსავლეთ საზღვრით ადირბეიჯანში და სამხრეთით სომხეთში უპასუხისმგებლოთ საქონლის უკან დაბრუნების შესახებ, სხვა დანარჩენი პირნი კი აგრეთვე სხვა საზღვრით გამზიდველნი უნდა დაემორჩილონ საერთო საქონლის გაცვლის წესებს. 2) ნედლ თამბაქოს გაზიდვის უფლება ყველა საზღვრით ენიჭებათ მხოლოდ იმ პირობით რომ მათ მაგივრათ შემოტანილი იქნეჲა ეკვივალენტური რიცხვი საქონლის სახელმწიფოში. ნედლ თამბაქოს გაზიდვის უფლება მიეცემათ ყველა იმ პირთ, რომელნიც უზრუნველ ჰყოფენ და გარანტიას მისცემენ, რომ შემოიტანენ მათ მაგიერ საჭირო საქონელს.

# მიწათ-მოქმედების სამინისტროში

### რკინის გზაზე რეკვიზიციის შესახებ.

მიწათ-მოქმედების მინისტრმა ტელეფონოგრამით სთხოვა გზათა უფროსს განკარგულება უბოძოს რკინის გზის უფროსს საქართველოს რესპუბლიკისას, მოახდინოს თავის მხრივ განკარგულება, რომ მოსპობილ იქმნას გზებზე უკანონო რეკვიზიცია შეშისა და დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს, როგორც მაგალითათ მიწ. მოქმ. სამინისტროს კუთვნილი შეშა 5 ვაგონი ს. ხაშურში დაუცლიათ.

# სამხედრო სამინისტროში

### მალკანთა შესახებ.

სამხედრო მინისტრის საერთო განყოფილების უფროსმა პოლკ. ზაქარიაძემ ტელეფონოგრამით აცნობა გზათა სამინისტროს საერთო საქმეთა მართველს, რომ სამხედრო მინისტრი სთხოვს მოახდინოს საჩქარო განკარგულება, რათა ხაშურში მყოფი მალაკნები გაიგზავნონ ფოთში.

# საგენერალ გუბერნატორო-ეშში.

### ავაზაკების შეპყრობა.

ტფილისში მყოფ თელავის მაზრის გენერალ გუბერნატორმა ბ. მაღლაკელიძემ გუშინ თელავიდან შემდეგი დეპეშა მიიღო პოლკ. კაჭახიძისაგან: „იარაღი ავყარეთ სოფლებს ყვარელსა და შილდას. თელავიდან გაქცეულ 3 ავაზაკს ჩვენმა მდევარმა გზა გადუჭრა ს. ლაგოდეხში და შეიპყრა სოფ. ახატალაში. ჩვენმა რაზმა შეიპყრა 5 უმთავრესი ავაზაკი.

### თელავის მაზრის გენერალ-გუბერნატორის გამგზავრება.

თელავს გაემგზავრა გენ.-გუბერნატორი ამ მაზრისა ბ-ნი მაღლაკელიძე, რომელსაც თან ახლავს ჯავახელი აფიცრები და ჯარის კაცები, რომელნიც მასთან ერთათ მოქმედებდნენ წინეთ ჯავახეთში და ამ ჟამათაც დიდ ენერგიას იჩენენ, აგრეთვე საგუბერნიო ბათალიონი და გარე კახელთა გლეხთა ცხენოსანი რაზმი ჯაფარიძის მეთაურობით. ეს რაზმი ბ. გენ.-გუბერნატორის ხელმძვანელობით დიდ მუშაობას აწარმოებდა თელავის მაზრაში.

### დატუსაღებულთა სია:

დატუსაღებული და დაჯარიმებულია საქართველოს რკინის გზის და ფოთის პორტის საგენერალ-გუბერნატოროში სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის სხვა და სხვა დროით არა უმეტეს სამი თვისა და დაჯარიმებულნი არა უმეტეს ათასი მანეთისა შემდეგი პირნი:

ურუსოვი ბორისი იაკოვლევის ძე, ხვთისიაშვილი გრიგოლი, კამხაძე იაგორი, ონისიმოვი ნიკოლოზი, გაბულაძე მიხეილი, ბათაშვილი იოსები, ხუბულაშვილი ვასილი, უტიგინოვი კაცკოი, საპანაშვილი ალექსი, კასრიძე დ., კაციაშვილი დ., ბერბიჭაშვილი ნინო, კარასევი მიხეილი, ერგემლიძე სიმონი, მელაძე ივანე, ჯიხვიძე ილია, ბახტაძე გიორგი, ლებანიძე ლევანი, ბეგლარიშვილი ანდრია, კავთიაშვილი მიხეილი, ცუცქირიძე ვასილი, სოლოლაშვილი დარჩუა, თხინვალელი ივანე, ჰალიძე კონსტანტინე, ბანდურაშვილი ნიკოლოზი, ოგაძე ალექსანდრე, ოგაძე გიგუცა, დუნგლიშვილი, კარაპეტ, სულაქველიძე რაფიელი, ჩომახიძე შაქრო, პატარაკაციშვილი მოსე, ხუბულური ადამი, ვართანიანცი გიორგი, ბულაშვილი ილარიონი, ტეხაშვილი ილიკო, ბაი-შან-შუ, ნარსია დიმიტრი და გოროზიანი მიტროფანე.

---

# უ კ რ ა ი ნ ა შ ი

(საქ. დეპ. სააგ.).

უკრაინაში ამბოხება ძლიერდება. უკრაინის მრავალ ადგილას ბრძოლაა მეამბოხეთა და გეტმანის მომხრეთა შორის, მრავალ ქალაქსა და დაბაში, სადაც გეტმანის ძალა-უფლება გააუქმეს, საბჭოები აღადგინეს. მთელი გუბერნია გერმანულ ჯარისაგან უკვე განთავისუფლებულია. რადომისლენის და სკვეროვის მაზრებში, ტრიპოლიევში, კანევოში და დაბა ჟინევოში მდგომარეობა გამოურკვეველია. ჟიტომირი თეთრ გვარდიელების ხელშია. ჩერნიგოვის გუბერნიაში ოსტროვის მაზრაში საბჭოთა ძალა-უფლება აღდგენილია. ვოლინის ნოვგოროდი „სამოსტიინიკების“ ხელშია. ცნობებია, რომ კრემენჩუგში არავითარი მთავრობა არაა. პოლტავასთან ბრძოლებია. ვარტის მხარეზე მომქმედ ყაზახ აფიცერთა რაზმმა იუზოვკა დაიპყრო. მუშები და მცხოვრებნი შიშის ქვეშ იმყოფებიან. თეთრგვარდიელებმა სრულიად გაუფრთხილებლად სროლა აუტეხა პროფესიონალურ საკითხებზე სათათბიროდ შეკრებილ მუშათა ჯგუფს. მოკლულია ერთი მუშა, დასახიჩრებული და კონდახით და მათრახით ნაცემია 35. სოფ. სტეფანოვკაში აფიცრის მოკლისთვის მცხოვრებლებს კონტრიბუცია დაადევს.

უკრაინაში ძლიერი ბრძოლაა. ჩრდილოეთში რევოლიუციონური ამბოხება სისწრაფით ვითარდება. ყველგან დაარსდა საბჭოები. უკრაინის ცენტრში, სახელდობრ ჩერნიგოვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პოლტავის გუბერნიაში, პეტლიურას ჯარი გეტმანის ოფიცერთა რაზმს ებრძვის. პეტლიურას ჯარის მიერ დაჭერილ ქალაქებში შეთანხმების საერობო საბჭო აღადგინეს. გეტმანის ოფიცერთა რაზმის დასახმარებლათ დენიკინის რაზმი მოდის.

ქალაქი ველეიგი აჯანყებულთა ხელშია. ხდება მშრომელთა მობილიზაცია. ველეიკოს რკინის გზაზე მოძრაობა აღდგენილია.

პოლტავაში მუშათა საბჭო დაარსდა. გლუხოვი გაიდამაკელთა და თეთრგვარდიელთა ხელშია. ქალაქს გარს არტყია ბოლშევიკთა რაზმი. ხარკოვისა და როსტოვის შუა მიმოსვლა შეწყდა. პეტლიურას მთავარი ძალები ფასტოვშია. პეტლიურას მომხრეებმა გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური პატიმარი, გარდა ბოლშევიკებისა, ანარქისტებისა და მემარცხენე ესერებისა. რომოტოვოში პეტლიურას მომხრე კომისარებმა გააუქმეს გერმანელთა ყველა ბრძანებანი და აღადგინეს ცენტრალურ რადის კანონები და განკარგულებანი. ბესარაბიაში იზრდება უკმაყოფილება რუმინელების წინააღმდეგ. სასოფლო ყრილობებს გამოაქვთ რეზოლიუციები, სადაც საბჭოთა მთავრობის აღდგენას მოთხოვენ.

**დონში.**

კრასნოვმა ბრძანება გასცა, დაბექდონ, რომ ფრონტის უკან მდებარე ადგილების უზრუნველსაყოფად ყაზახ-ოფიცერთა რაზმებმა დაიპყრო: ლუგანსკი, დებალცევო, იუზოვკა და მარიუპოლი.

## გერმანული პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

**ევაკუაცია და სამშობლოში დაბრუნება.**

აღმოსავლეთში გერმანულ ჯარების ევაკუაციამ და სამშობლოში დაბრუნებამ ფართო ხასიათი მიიღო. პირველ რიგში დაიცალა ესტონია, ლიტვა და მოლოდეჩნო-ტავრიდა-ყირიმის ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები. დიდი მანძილისა და გზების სიმცირის გამო ევაკუაცია გაჭიანურდა. პოლონეთში შექმნილი მდგომარეობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ევაკუაციისთვის, მაგრამ მაინც მას შეუძლებელს არ ხდის.

მაკენზენის ჯარის მთავარი ნაწილი ზიგდამის და კრონშტატის შუა იმყოფება. ჯარის ნაწილი უკვე მოვიდა ბავარიაში და სილეზიაში.

მაკენზენის ჯარის დატყვევებაზე გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებულია.

**ძალა-უფლების საკითხი**

მაინცის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმ. კომ. მიიღო რეზოლიუცია, სადაც ჰკიცხავს მიუნხენის საბჭოს, რომელმაც მოითხოვა დავიდის და შეიდემანის მთავრობიდან გაძევება.

გროსბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭომ 29 ნოემ. სხდომაზე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ჯარისკაცთა საბჭო ანგარიშს არ უწევს აღმასრულებელ საბჭოს წარმომადგენლებს.

მიუნხენიდან მოსულ ცნობების თანახმად, შვეიცარიის მთავრობა არ სცნობს პროფესორ ფორსტერს, რომელიც მინისტრად დანიშნა ბავარიის ახლანდელმა მთავრობამ. შვეიცარია არ სცნობს აგრეთვე ბავარიის მთავრობას. შვეიცარიის მთავრობა განაგრძობს დიპლომატიურ დამოკიდებულებას ბავარიის ყოფილ მინისტრ ფონ-ბომესთან, რომელსაც არ სცნობს ბავარიის ახალი მთავრობა.

**ეკლესიის საკითხი.**

კულტთა მინისტრმა ეკლესიის გამოყოფის შესახებ „ბერლინერ ტაგებლატის“ წარმომადგენელს პირადი შეხედულობა გაუზიარა. „ისეთი სერიოზული საკითხი, როგორიცაა ეკლესიის გამოყოფა, რაც მრავალ გერმანელის რელიგიურ გრძნობას შელახავს, არ შეუძლია გადასწყვიტოს არც მთავრობის დეკრეტმა და არც კულტთა მინისტრმა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ნაციონალურ ყრილობას შეუძლიან. შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიონ იმ საშინელ შედეგს, რომელსაც ეკლესიის სახელმწიფოდან საჩქარო გამოყოფა გამოიწვევს. თუ ეს საკითხი ადრიანათ გადასწყდა, აღმოსავლეთში და დასავლეთში სეპარატიული მოძრაობა გაძლიერდება.

## ცნობა მოსკოვიდან.

(საქ. დეპ. სააგ.)

**რუსეთის ფრონტები.**

ჩრდილოეთის ფრონტზე, არხანგელის და კოტლასის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. 29 ნოემბერს, ძლიერი ბრძოლის შემდეგ, დავიჭირეთ ნარვა. შეუდგნენ რკინის გზის შეკეთებას და ცეცხლის ჩაქრობას. პსკოვის რაიონში ჩვენ დავიჭირეთ სადგური იზბორსკი. რეჟიცკის მიმართულებით ჩვენმა ჯავშნიანმა მატარებელმა მიაღწია სადგურ პიტალოვოს. რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭების გამო მატარებელი წინ აღარ წასულა. რეჟიცკის მიმართულებით ჩვენი ჯარის ნაწილმა დაიჭირა ქალაქი ლიუცინი. ბობრუისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი 22 ნოემბერს ბობრუისკში შევიდა. მინსკის მიმართულებით სადგურ ოსიპოვიჩამდე რკინის გზის ლიანდაგი აყრილი აღმოჩდა. სამხრეთ ფრონტზე, ვორონეჟის უბანში, ბობრუისკის მიმართულებით ლისკის ჩრდილოეთით 27 და 28 ნოემბერს მტერმა უნაყოფო იერიში მოიტანა ჩვენი ჯარის წინააღმდეგ მოჟაისკთან და იუზანსვკასთან. პოვორინის უბანში, ნოვო-ხოპორის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და დაიჭირა სოფელი მიტიუგინსკი. მტერმა უკან დაიხია ვიაზოვკა ზნამენსკაიას ხაზით. ბალაშოვო-კამიშინის რაიონში გლანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადვიდა და მტერს უკან დახევა აიძულა. კარაშნოვკას და სუდაჩევს მიმართულებით მტრის იერიში მოვიგერიეთ. ცარიცინის რაიონში ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ივანოვკა და პოგოჟაია და სადგურ ლოგის რაიონში ლოზნოე. კრივომუზგინსკის მიმართულებით, გოლუბინსკის რაიონში ჩვენი მზვერავები თავს დაესხა მოწინააღმდეგის სადარაჯოს და ტყვეთ წამოიყვანეს რამოდენიმე კაცი. კრივომუზგინსკის სადგურთან ჩვენი ნაწილი შეტევას განაგრძობს. ლიაპიჩევის სადგურის მიმართულებით; ტინგუტსკის მიმართულებით მტერი შეეცადა შემოტევას გნილოვსასკის სადგურთან. ორენბურგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტერს ენერგიულათ შეუტაა და დაიბრუნა სოროლევი. სამარის რაიონში უფის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. 28 ნოემბერს ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ბელებეი. ამ ჟამათ ჩვენ ჯარს უჭირავს ალიაბევსკო-უსაკის ხაზი სარაპულის რაიონში. სარაპულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა კემული კრასოკი და ვრანჩიკოვი დაიჭირა და ხელთ იგდო 22 ტყვიის მფრქვეველი. კამის მარჯვენა მხარეზე ბრძოლაა. ოსკინის რაიონში, ოსის სამხრეთით ფედორკოვკაში ბრძოლა დაიწყო. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

## საექიმო-სასანიტარო საქმე

**დებულება ქ. ტფილისში სახანიტარო-საეპიდემიო ფონდის შესაქმნელად ფულის აკრეფისა, მოწონებული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ნოემბრის 7-ს, 1918 წ.**

ხოლერასთან საბრძოლველად, ტფილისის ქალაქის მმართველობას უფლება ეძლევა მოაწყოს ერთდროული ფულის შეკრეფა ქ. ტფილისის მოქალაქეთაგან შემდეგი წესით:

1. შეგროვილი ფულიდან პირველად გადახდილი უნდა იქნეს 300.000 მან., რომელიც ასესხა ქ. ტფილისს მთავრობამ ხოლერის წინააღმდეგ ზომების მისაღებათ. დანარჩენი თანხა, თუ ასეთი იქნება, უნდა ჩაირიცხოს ქალაქის სპეციალურ თანხაში სასანიტარო და ეპიდემიის წინააღმდეგ ზომების მისაღებათ. ამ თანხის დახარჯვის წესი და ანგარიშის წარმოება შემუშავებულ იქნება ქალაქის საბჭოს მიერ.

2. იმ პირთ, რომლებიც ვაჭრობა-მრეწველობას აწარმოებენ, გადახდებათ 20 პროც. 1918 წლის სახელმწიფო სამრეწველო გადასახადი.

3. იმ წარმოებათა პატრონნი, რომლებიც სახელმწიფოს მრეწველობის დამატებითი გადასახადს არ ექვემდებარება, იხდიან 40 მან.

4. ის პირნი, რომლებიც ფეხზე ვაჭრობენ ერთდროულათ გადაიხდიან 25 მან.

5. ქუჩის ხელოსნები, ფეხსაცმელის მწმენდავები, ფოტოგრაფები და სხვ. გადიხდიან 15 მან.

6. ვინც გადატან-გადმოტანის საქმეს აწარმოებს იხდის: ა) ეტლის პატრონი 50 მან. ეტლზე. ბ) საბარგო ორ-ცხენიანი—40 მ. გ) საბარგო ერთ-ცხენიანი—30 მან. დ) ურემ კამეჩზე—40 მან. ე) ურემ ხარზე—30 მან. ვირებიან „პოვოზკებზე“ და აგრეთვე კურტნიან ვირზე, თითოზე 10 მან. ცხენზე—15 მ.

7. მეორე პუნქტში აღნიშნულ გადასახადის დამატებით, ტრახტირების პატრონები ერთდროულად იხდიან 10 პროც. ქალაქის გადასახადის თანხიდან.

8. ყველა, ვინც თვიურ ჯამაგირს ღებულობს ან რაიმე შემოსავალი აქვს თვიურად იხდიან 2 პროც. თვიურ ჯამაგირისას სექტემბრის შემოსავლიდან. თავისუფალი პროფესიის პირნი იხდიან 2 პროცენტს თვიურ საშუალო შემოსავლისას.

9. გადასახადი იქნება აგრეთვე დადებული კლუბების, რესტორანების და გასართობ დაწესებულებების პატრონებზე—ხოლერის დროს ანგარიშის ფურცლებზე ქალაქის მარკების დაკვრით, რომელიც შეადგენს 5 პროც. ანგარიშის საერთო ჯამისას. პირველი ხარისხის რესტორანის პატრონები კი იხდიან 10 პროც.

10. გადასახადს იხდიან აგრეთვე ისინიც, ვინც დღიურ ვაჭრობას აწარმოებს ქალაქის თვითმართველობის მარკებით. ის პირნი, რომლებიც ამა წლის აგვისტოში ირჩევდენ ქალაქის ორ მანეთიან მარკას, დამატებით ირჩევენ ათ შაურიან მარკას სასანიტარო ფონდისთვის:

150 კაპ.—30 კაპ. 50 კ.—15 კ.

ასეთ გადასახადებიდან შეგროვილი თანხა შედის სასანიტარო-საეპიდემიო ფონდში. ეს გადასახადი რომ სისწორით იქნეს შეგროვილი იმ პირთაგან, რომლებიც მსახურებენ სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო დაწესებულებებში, მიღებულია შემდეგი წესი:

11. აღნიშნულ დაწესებულებათა მმართველობა და აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის წარმოებისა, სადაც მსახურებს არა ნაკლებ 20 კაცისა, ადგენს სიას, სადაც ნაჩვენები იქნება სექტემბრის 2 პროც. გადასახადისა. გადასახადის მთელ თანხას სიით დაწესებულება აგზავნის ტფილისის ქალაქის მმართველობის აგდასახადთა განყოფილებაში.

12. შეგროვილი თანხისა და სიის წარმოდგენის შემდეგ, გადასახადთა განყოფილება აძლევს დაწესებულებას კვიტანციას გადასახადის მიღებისას.

13. ვაჭრობა-მრეწველობის წარმოების გადასახადთათვის შემდეგი წესი იქნება დაცული:

გადასახადთა ინსპექციის მიერ წარმოდგენილი საბუთებით, რომლებიც შეიცავენ წარმოების ცნობებს და ჯამს 20 პროც. სამრეწველო გადასახადისას, ვაჭრობის ზედამხედველობის აგენტები ადგენენ გენერალურ სიას ყველა ვაჭრობა-მრეწველობის წარმოებისას. მეოთხე ხარისხის ვაჭრობის წარმოების და მე-7 და მე-8 ხარისხის მრეწველობის წარმოების სია ცალკე იქნება შედგენილი.

15. ასეთივე სიები სდგება იმ პირთათვის, რომლებიც აღნიშნულია ამ დებულების 3, 4, 5 პუნქტებში. სიაში აღნიშნული იქნება მეპატრონეთა მისამართი.

15. იმ ცნობების მიხედვით, რომლებსაც ვაჭრობის ზედამხედველების აგენტები წარმოადგენენ, გადასახადთა აგენტები ადგენენ ცნობის ბარათს, სადაც აღნიშნულია ფირმა, მისი ადგილი,—მდებარეობა პატრონის სახელი, უწყების ჩაბარების დრო და გადასახადის გადახდის აღნიშვნა.

16. სიების შევსების შემდეგ, გადასახადთა აგენტი ამოწმებს შემოსულ ცნობების სისწორეს, ადგენს უწყებას, რომელშიც ნაჩვენებია შეგროვილ ფულის ჯამი, რომელიც ითვლებოდა ამა თუ იმ გადამხდელზე და ჩააბარებს.

17. გარდა გადასახადთა ჯამის ჩვენებისა უწყებაში ცხადდება, რათა დაუყონებლივ ჩააბარონ გადასახადი ამკრეფს და თუ სასწრაფოდ გადახდა შეუძლებელია, ერთი კვირის განმავლობაში უწყების ჩაბარებიდან უნდა შეიტანონ ქალაქის თვითმართველობის კასაში.

(დასასრული იქნება)

## ეროვნულ საბჭოებში.

**რუსთა ეროვნულ საბჭოს თხოვნა.**

ბათომის განყოფილების თხოვნით რუსთა ეროვნულ საბჭომ სთხოვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რათა მათ გადაეცეს შესანახათ ბათომის სამხედრო სობოროს ქონება, რომელიც ბათომიდან გადატანილია ტფილისში და ინახება ალექსანდრე ნეველის ტაძარში. საბჭომ პასუხათ მიიღო, რომ სანამ არ გადაწყდება საკითხი ამ ტაძრის საქართველოს სამხედრო უწყებისადმი გადაცემისა, ეს ქონება რუსთა ეროვნულ საბჭოს არ დაუბრუნდება.

**ბერძენთა ეროვნულ საბჭოში.**

ბერძენთა ეროვნულ საბჭომ აირჩია კომისია ამიერ-კავკასიის მესამე ყრილობის მოსაწვევათ 10 იანვრისთვის. ამ ყრილობაზე მოხსენდება ანგარიში ამ საბჭოსი და წამოყენებულ იქმნება საკითხი ამ საბჭოს სახელის შეცვლის შესახებ „ელლინთა ეროვნული საბჭო საქართველოს რესპუბლიკისა“.

— ამავე საბჭომ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა მიექცეს ყურადღება ბერძენ ლტოლვილებს და თუ მოსახერხებელია ისინი გადასახლებულ იყვნენ უფრო ყარსის ოლქში ან და ტრაპიზონის რაიონში.

## ე რ ო ბ ა

2 დეკემბერს გაიხსნა ტფილისის მაზრის საერობო ყრილობა. პირველ სხდომაზე დაადგინეს გამგეობა 5 კაცისაგან შესდგებოდეს 1200 მ. თვეში თითეულს ჯამაგირით.

— რაჭის მაზრაში არჩევნები დანიშნულია 8 დეკემბერს.

— ზუგდიდის მაზრაში სრულიათ ეროზის არჩევნები მომთავრებულა.

— თიანეთის მაზრაში ემზადებიან არჩევნებისათვის.

— მთავარი ინსტრუქტორი ერობის შემოღებისა ტიტე მარგველაშვილი სასწრაფოთ გაემგზავრა ზუგდიდში და იქიდან დაბრუნდება ქუთაისში.

— სიღნაღის სამაზრო ერობამ საუბნო მომრიგებელ მოსამართლეს დაუნიშნა თვიურად 900 მან. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს თვეში 1000 მ.

## ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა შორის.

1918 წელს ნოემბრის 24-ს შესდგა დასავლეთ საქართველოს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა საერთო საგუბერნიო არაჩვეულებრივი კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ემელიანე წულაძე, მდივნათ სოლომონ ჩხაიძე. დღიურ წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და მთავრობისაგან დახმარება. 2) სავაჭროების მდგომარეობა. 3) რკინის გზის ბილეთებს მოსპობა და მისი მიზეზები. 4) ქუთაისის კავშირის თავმჯდომარის დამტკიცება. 5) მთავარ კავშირის გამგეობის არჩევა. 6) სარევიზიო კომისის არჩევა. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის შესახებ აკეთებს მოხსენებას ემელიანე წულაძე, რომელმაც გაუთვალისწინა კრებას დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და, სხვათა შორის, სთქვა—რომ გვქონდეს მჭიდრო ორგანიზაცია შეკრული, მაშინ ქუჩებში მათხოვრობა აღარ დასჭირდება ჩვენს ამხანაგებს; ეს ორგანიზაცია მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ უნდა გვქონდეს დანაწილებული სამუშევრები ვის რა შეუძლიან, რომ ამით მივცეთ ყველა დაჭრილებს სამუშევარი, მაგალითათ ზოგს შეუძლიან წაღების კერვა,—შევასწავლოთ, ზოგს ჩექმების და სხვა და სხვა ხელობა, თორემ ჩვენ არ შეგვიძლიან ფულით დახმარება აღმოუჩინოთ დაჭრილებს, შემოსავალი კი კავშირსაც გააძლიერებს და ამავე დროს შიგ მომუშავეებსაც მივცემთ მუდმივ ლუკმა პურს. აი სწორეთ ამ საშუალებით შეიძლება რომ მოვაშოროთ ეს ჩვენი ამხანაგი მათხოვრები ქუჩას. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ ჩვენს უკიდურეს გაჭირვებას კრებამ დაადგინა: მოეწყოს სხვადასხვა სახელოსნოები, სადაც იქნას მოწვეული ხელოსან—მასწავლებლები, რომლებიც შეასწავლიან დაჭრილებს ხელობას, აგრეთვე ეთხოვოს მთავრობას შესაფერი დახმარება, რომ მით მოგვეცეს საშუალება მოვაწყოთ ყველა ზემოდ მოხსენებული სახელოსნოები. სავაჭრო დაწესებულებების შესახებ მოხსენებას აკეთებს ემელიანე წულაძე. ის აღნიშნავს რომ ჩვენს სავაჭროებს სამწუხაროთ არსად დიდი სარგებლობა არ მოუტანია; ამის მიზეზად ასახელებს სავაჭროებში ჩაყენებულ პირების გამოუცდელობას, რის დასამტკიცებლათ მოჰყავს მას მრავალი საბუთები.

დიდი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი წინადადება: თუ მოსახერხებელი იქნება, აწარმოვონ სავაჭრო, მაგრამ იქ უნდა იქნენ მოსამსახურეებათ დაჭრილები. უკიდურეს შემთხვევაში სავაჭრო გაიყიდოს და ეს თანხა მოხმარდეს პირველ რეზოლიუციაში აღნიშნულ საქმეს, ყოველივე ამ საქმის მოგვარება ენდობა ახალ არჩეულ გამგეობას.

ბილეთების შესახებ ცოტა კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას, რომ გამგეობის წევრებს, რომლებსაც უწევთ მიმოსვლა ამ საქმეების მოსაგვარებლათ მიეცეს უფასო სამგზავრო ბილეთები. და აგრეთვე მიეცეს დაჭრილებსაც საჭიროების და მიხედვით უფასო ბილეთები განსაზღვრულ დროთი.

ქუთაისის კავშირის თავჯდომარეთ დამტკიცებულ იქნა ამ. გოდიევი. ბოლოს კრებამ აირჩია ერთ ხმათ მთავარ კავშირთა გამგეობის თავმჯდომარეთ პოლკოვნიკი ანჯაფარიძე, მის ამხანაგებათ გრიგოლ კვაშალი და სოლომონ ჩხაიძე. სარევიზიო კომისიაში იქნენ არჩეულნი: პოლკოვნიკი ტიტე ართმელაძე, ანტონ ტუსკია, და აპოლონ მიქელაძე.

## ვაჭრობა-მრეწველობის დარგი.

**ნავთი,**

როგორც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილება იტყობინება საქართველოს სადგურებზე ნავთი არ არის. უკანასკნელ დღეებში მოვიდა მხოლოთ 8 ცისტერნა ნავთი. აქედან 3 გადაეცა საქართველოს რკინის გზებს, 5 კი ქალაქს. ქალაქმა 2 ცისტერნი მექარხნეებს და მეფაბრიკეებს დაურიგა, სამი კი შენახული აქვს.

## სასიამოვნო საღამო

შაბათს, 7 დეკემბერს ტფ. საეპარქიო ქალთა გიმნაზიის ულარიბეს მოწაფეთა სასარგებლოთ იმართება ფრიად საგულისხმიერო საღამო საკონცერტო განყოფილებით და კაბარეთი. მონაწილეობას იღებენ მსახიობთა საუკეთესო ძალები, ქართველები და უცხოელები. საღამო განზრახულია მოეწყოს კლუბის ყველა დარბაზში. საღამოს დიასახლისია მ. ი. ხოშტარიასი. კლუბი საზეიმოთ იქნება მორთული სტუმართა შესახვედრათ კაბარეში.

## ქართული დრამა

ამ მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში დაიწყება სეზონი ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირისა. დასი უკვე შემდგარია შემდეგ მსახიობთაგან: აბაშიძე ტ., ანდრონიკაშვილ ელ., ანკარა ს., გოგოლაშვილი თ., ლექავა ოლ., დავითაშვილი ნ., მესხი ეფ., სინაურიძე ოლ., ქილარჯიშვილი მ., ჩერქეზიშვილი ელ., ჯავახიშვილი ნ.; აბაშიძე ვ., აბდუშელი დ., ბარველი ი., გვარაძე ნ., გუგუშვილი ალ., დადიანი შ., იმხნელი გ., მატარაძე ვ., ჟღენტი ოს., სანდალა ალ., სარაული მ., ფრონისპირელი გ., ციციშვილი ნ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

აგრეთვე დროგამოშვებით მონაწილეობას მიიღებენ ნინო ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, კოტე ყიფიანი.

რეჟისურაში მონაწილეობას მიიღებენ ბბ. ნ. შიუკაშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, ზალცმანი და შ. დადიანი.

რეპერტუარში ჯერჯერობით შეტანილია ახალი პიესები: ტარიელ გოლუა—ლეო ქიაჩელისა, სინათლე II ნაწილი—ი. გედევანიშვილისა, ვარამი—შალვა დადიანისა, ბურუსი—სიო ჰანტურიშვილისა, ბედის ტრიალი—ერისთავ-ხოშტარიასი, მწირი სარდალი—დუტუ მეგრელისა. ძველთაგან: ლალატი—სუმბათაშვილისა, სიმახინჯე—ნ. შიუკაშვილისა, მთის ზღაპარი—მისივე, უგვირგვინო მეფენი—ალ. შანშიაშვილისა, ვინ არის დამნაშავე—ნ. ნაკაშიძისა, მსხვერპლი ი. გედევანიშვილისა.

დასი უკვე შეუდგა მეცადინეობას და განზრახვა აქვს, რომ პირველი წარმოდგენა გამართოს პარასკევს, 6 დეკემბერს.

## ქუთაისი

◯ მოხელეთა კოოპერატივის „ერთობის“ მოსამსახურეებმა ეკონომიური მოთხოვნილება წაუყენეს გამგეობას. ხსენებულ კოოპერატივის მომუშავენი მეტად მცირე ჯამაგირებს იღებენ დღემდი.

◯ ქუთაისის მაზრის კომისარი აცყობინებს ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას, რომ მასთან სამაზრო კომისარიატში ინახება გზის საკეთებელი იარაღები: 143 რკინის ნიჩაბი, 74 წალკატი, 5 ლომი, და 4 ჩაქუჩი, რომლებიც შეძენილი არის საერობო თანხიდან.

◯ საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობამ გაგზავნა მიწის მიმღები კომისია სოფ. ამაღლების რაიონში.

◯ ცენტრალური საადგილ-მამულო საბჭო ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო სად.-მამ. გამგეობას, რომ მოიხსნას მიწების მიმღები კომისიები, რადგანაც ზამთრის პირი მოახლოვდა და მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია.

◯ გუბერნიის კომისარი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა მომავალ 1919 წლის იანვარში მოხდეს ახალი საქალაქო არჩევნები. გაცნობებთ რა ამას დროზე შეუდექით დამატებითი სიების შედგენას.

## თელავი

როგორც მკითხველებმა უწყიან თელავში და მის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

რადგანაც თელავში გაზეთი არ გამოდის და განცხადებებს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ბევრი ვერც წაიკითხავდა, ამისთვის 24 ნოემბერს დილის 5 საათიდან დაიწყეს ზარების რეკა და თელ. სადგურზე მდგომ ჯავშნოსან მატარებლიდან რამდენჯერმე ისროლეს ზარბაზანი. ამით ყველა მიხვდა, რომ თელავის ცხოვრებაში რაღაც მოხდა, მხოლოდ დილაზე გაიგეს სამხედრო წესების გამოცხადება და მოქალაქეთა ვალდებულება, რომელიც უმთავრესად შეეხებოდა იარაღის ჩაბარებას, სასმელ დუქნების დაკეტვას, საღამოს ექვს საათიდან გარედ გამოსვლის აკრძალვას და სხვ.

ქალაქის კომენდანტად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი მაჭავარიანი, რომელიც იარაღს იღებს. გენ.-გუბერნატორის კანცელარია მოთავსდა სასტუმროში. 25 ნოემბრიდან დაიწყო იარაღის ჩაბარება, ხოლო იმავე დღეს შუადღიდან საერთო ჩხრეკა მთელ თელავში. იარაღი ჩააბარეს, როგორც გვარდიელებმა, ისე სოც.-ფედერალისტთა რაზმელებმა, რომელთაც დაჰპირდნენ მის დაბრუნებას.

სამხედრო წესები ვრცელდება მთელ მაზრაზე, რისთვისაც სოფლელთაც უნდა ჩამოერთვას იარაღი. ახლო-მახლო სოფლებში უკვე იყო თვით გუბერნიის კომისარი შ. მაღლაკელიძე იარაღის ასაყრელად და ყაჩაღთა ბრბოების აღმოსაჩენად. დანარჩენ გამოღმა სოფლებშიაც დაიწყეს იარაღის ჩამორთმევა და ურმებით ეზიდებიან თელავში.

28 ნოემბერს, გენ.-გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება დეზერტირების შესახებ, რომელნიც 1 დეკემბრამდე თუ არ გამოცხადდებიან სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

დეზერტირები სოფლებიდან უკვე თავის ნებით ცხადდებიან.

საზოგადოდ გენ.-გუბერნატორი—გუბერნიის კომისარი შ. მაღლაკელიძე ცდილობს უმტკივნელად გაატაროს სამხედრო წესების სიმწვავე და რაც შეიძლება მალე დაამყაროს წესიერება და მშვიდობიანობა აღადგინოს, როგორც თელავში, ისე მაზრაში. ამისთვის მან 27 ნოემბერს მიიწვია ქალაქის საბჭოს და ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები თავისთან თათბირზე.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც თელავის, ისე მაზრის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მოწყურებულია წესიერებას და მოელოდა იმ ძალას, რომელსაც შეეძლო მშვიდობიანობის აღდგენა. ეხლა ეს ძალა-უფლება დაინახა და დარწმუნდა, რომ მართლა ჩვენა გვყავს მთავრობა, რომელიც ვერ მოითმენს ვერავითარ ანარქიას და უწესობას და ყოველთვის სასტიკ ზომებს მიიღებს მშვიდობიან მოქალაქეთა დასაცავად.

დონ.

## ქრონიკა

◯ რედაქციამ მიიღო თ. ა. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანი“. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს 7 მან.

◯ უქმე დღის გამო ჩენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს.

◯ 9 დეკემბერს, საღამოს 6 სათზე, პირველი გიმნაზიის შენობაში, გაიხსნება გერმანული ენის კურსები ქართულ-გერმანულ კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელობით. სწავლება ბერლიცის მეთოდით. მეცადინეობა საღამოობით· მსურველებს შეუძლიათ ჩაწერა ორშაბათობით, ოთხშაბათობით დ პარასკეობით საღამოს 6 საათ.—7 საათ. გიმნაზიის შენობაში, პირველი შესავალი კარები როზენოვის ქუჩიდან. სწავლის ფასი თვეში 20 მანეთი.

◯ დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ფრეილინის ქუჩ. № 11, შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. კ. ზუდაკოვი წაიკითხავს მოხსენებას.


განცხადებები

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალვენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.
624. 18—15.

პელაგია საფუტინა აცახდებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 57 რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1112 3—3

კავკასიის ბანკის გამგეობა იუწყება, რომ 1916 წ. ოქტომბრის 8 მის მიერ მიცემული 1.0000 მან. ბილეთი № 47808 აკოფ არუთინის ძე ვართანოვზე—დაკარგულია. თუ ერთი წლის განმავლობაში უკანასკნელი განცხადებიდან, ეს ბილეთი არავინ წარმოადგინა ბანკში, ის გაუქმებულად ჩაითვლება.
1077 3—1

შორაპნის მაზრის კომისარიატი ეძებს ხარაგოულის საზ. კომისრის მიერ დაკარგულ სახელმწიფო ბეჭედს. მპოვნელს სთხოვენ წამოადგინონ კომისარიატში. 1071 3—2

დავკარგე მოწმობა № 2 (ატესტატი) 1914 წ. ზუგდიდის 6 კლასიან სამოქალაქო სასწავლებლისა. ვთხოვ მნახველს გამომიგზავნოს ამ მისამართით; ს. ხეთა, ზუგდიდის მაზრა ქუთაისის გუბერნია, კოლია კვაზანას-ძე ბუკიას. 1114 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს რომ 1918 წ. აგვისტოს 5 მის მიერ დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, გირავნობის მოწმობა, რომლითაც მიხეილ ლევის ძე ფრანკფურტმა 8000 მან. დაუგირავა მარიამ ნიკოდიმის ასულს ობოლონკინას მამული ქ. გუდაუთში, ზომით 340 ოთხკ. საჟ. ამის გამო ამ მამულზე დადებულია ყადაღა აღნიშნულ 1918 წ. ყად. კრებ. № 14.
349. 3—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 13 სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა წიგნის მე-48 ნაწ. მე-200 №-ით 12 აგვისტოს აღნიშნულია, ამა წლის მარტის 9 გუდაუთის ნოტარიუსთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ნესტორ კუჭუას ძე ბარძემიშვილს დაუმტკიცდა მიწის ნაჭერი. ქ. გუდაუთში № 2, ზომით 250 ოთხკ. საჟ. და ღირებული 187 მ. 50 კ. 381. 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 11 დამტკიცებულია, ამა წლის ოქტომბრის 4 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე სერაფიონ ივლიანეს ძე ბაბულაშვილმა 3000 მან. მიჰყიდა სიმონ ივანეს ძე ბიბილეიშვილს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ტფილისში, გეგუთის ქ. ზომით 50 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 120 მ. მთავარი ამონაწერი 15 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 11. 1045 1—1

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ავეტიკ ბაგდასარის ძე ფანიევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ფანიევის ქონებაზე I ნაწ. მეათე ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1117 1-1

ამით ვაცხადებ, რომ ვექილობა, რომელიც მიცემული მქონდა ჩემი და ჩემი ძმის სამსონ დიმიტრის ძე რუხაძის სახელით ალექსანდრე ივანეს ძე კოზმაკაზე ბათუმის ნოტარიუსის პრუსკის კანტორაში 1917 წ. 16 თებერვალს № 852 რეესტრით, ჩამორთმეულია და გაუქმებული. 1090 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 18 დამტკიცებულია, 1916 წ. ოქტომბრის 20 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე დავით გიტოს ძე გუგუშვილმა 500 მან. მიჰყიდა მოქალაქე რაჟდენ ალექსის ძე ხაინდრავას მიწის ნაჭერი ს. ცალი-კარში სენაკის მაზ. ზომით 20 დღე 600 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 20 მ. მთავარი ამონაწერი 2 მ. 50 კაპ. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 18.
1046. 1—1

ქ. ტფილისის მე-4 განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1910 წ. სექტემბრის 11 გარდაცვალებულის პავლე გერასიმეს-ძე კრეტინინის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კრეტინინის ქონებაზე მეათე ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1108 1—1

თანახმად საბაჟო კანონისა 565 სტ. მთავარი საბაჟო აცხადებს, რომ დილის ათ საათზე 12 ქრისტეშობისთვეს და შემდეგ დღეებში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სხვა და სხვა ჩამორთმეული საქონლებისა, სახელდობრ: თამბაქო, პაპიროსი, აბრეშუმის და ბამბის ნაქსოვები, ჩექმის ლურსმნები, ქუთაისის ჩაი, პაპიროსის ქაღალდები და სხვა და სხვა, სულ შეფასებით 30000 მან. 1110 3—2

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1918 წ. აპრილის 5 გარდაცვალებულის მიქაელ ერემიას ძე ბაშნიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბაშნიანცის ქონებაზე მეათე ტ. I 6 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა
სასურსათო კომიტეტი 1918 წ. დეკემბრის 14-ს 12-საათზე ნიშნავს კონკურენციას 1919 წლის განმავლობაში შემდეგ სადგურებზე ბუფეტების იჯარით გაცემაზე.
რიონი, ხაშური და სანაინი—ბუფეტები ცხელი საჭმლით და პალატკებით, მცხეთა, ყარაიაზი და სანდარი—ბუფეტები ცივი საჭმლით და პალატკებით. ქუთაისი და ბორჯომი—ბუფეტები ცხელი საჭმლით. ლანჩხუთი, ყვირილა და ბორჯომ პარკი—ბუფეტები ცივი საჭმლით. ჯუმათი საჯევახო და ქსანკა—სავაჭრო პალატკები.
მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დახურულ კონვერტებში; განცხადებას თან უნდა ახლდეს კვიტაციები წინასწარ წინასწარ საწინდრისა. ცხელი საჭმლით ბუფეტისთვის 250 მან. პალატკისთვის 50 მან. მაგარი სასმელების გაყიდვის ნება არ იქნება მიცემული. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება სასურსათო კომიტეტში, ელისაბედის ქუჩა, № 200, დილის 10 საათიდან. 1085 3—1

მიწათ-მოქმედების სამინისტრო
აცხადებს, რომ ორშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 16-ს, სამინისტროს ბინაზე (პეტრე-დიდის ქ., № 22) დილის 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა ტფილისის გუბერნიაში შემდეგი ტყეების გაჩეხისა და შეშის დამზადების უფლებაზე: 1. მანგლისში მე-30, 40, 41 43, 44, 48, 51, 55 და 57, აღბულაღის ტყეების უბნებში, 800 კუბ. საჟ. 2. გავაზის—ალაზნის იქით მდებარე ტყეთა ქვემო ნაწილი—3000 კუბ. საჟ.

გორის უბნის ტყეები.
3. სურამი-კაკალაანთ ხევის—3 დეს. 34 „დულიაცკი“ № 6 ან № 39 დე, 1108 ოთხკ საჟ. 4. ალის—„დუკის გზის“ უბანში 2180 ოთხკ. საჟ.

ყარაიაზის ტყეები.
5. ალიხან-აგაჯი—20 კუბ. საჟ. 6. შიხლინის—320 კუბ. საჟ. 7. სალოგლინის—180 კუბ. საჟ. 8. ჰერემის რაიონი, სადგ. გურჯაანის ახლო—200 კუბ. საჟ.

თელავის უბნის ტყეები.
9. თელავის—140 კუბ. საჟ. 10. ზემოხოდაშენის—400 კუბ. საჟ. 11. ვანთის, ბუშათის და ურიათუბანის, სად. ვაჩნაძიანის მახლობლად—500 კუბ. საჟ. 12. შაგადახის—65 კუბ. საჟ.

შულავერის ტყეები.
13. ხუდაბაკირის—75 კუბ. საჟ. 14. შულავერის—180 კუბ. საჟ. 15. დარბაზის—100 კუბ. საჟ. 16. ახკეპრინის—150 კუბ. საჟ. 17. შინიხის—800 კუბ. საჟ.

ყოფილი კერძო მფლობელობის ტყეები:
18. ვანტა, სად. ვაჩნაძიანის დასავლეთით—260 კუბ. საჟ. 19. ხოჟორნი, ბორჩალოს მაზრა—200 ოთხკ. საჟ.

მარტყოფ-იორის ტყეები.
20. საგარეჯოს—200 კუბ. საჟ. 21. მარტყოფის 64 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-640. 23. ქადის—100 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-500. 24. ნასომხარ—საცხენისის—81 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-405. 25. ხაშმის—102 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-510. 26. მანავის—202 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-1010. 27. პატარძეულ-ბერთუბანის „თოხლიანთ მთის“ უბ. 7 დეს. 28. კოჟუხის, „ტყის თავის“ უბანში 6 დეს. 60 ოთხკ. საჟენი.

ქუთაისის გუბერნიის ყოფილ კერძო მფლობელობის ტყეები
29. ფარცხნალის, ყოფილი სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის—260 კუბ. საჟ. 30. ფარცხნალის, ყოფილი იზიუმსკების—107 კუბ. საჟ. 31. ბაღდადის, ყოფილი მაჭავარიანების და სხ.—60 კუბ. საჟ. 32. გუდათ უბანის, ყოფილი გუდაძეების და სხ.—45 კუბიკური საჟენი. 33. ვახანის 2, ყოფილი ამირეჯიბის—160 კუბიკური საჟენი. 34. ჩიბათის, ყოფილი ერაპონის ჰყონიას და სხვ. 400 კუბიკური საჟენი. 35. ჩოჩხათის, ყოფ. ჯამბაკურ-გურიელის მემკვიდრეებისა და სხვ. 120 კუბ. საჟ. 36. საბაშით, ყოფ. ა. ზ. მადატოვის 100 კუბ. საჟ. იმავე რიცხვში, იქვე მოხდება ვაჭრობა შემდეგ ტყეებში უკვე დამზადებულ შეშისა. 37. ჯიმითო-კაკაბეთის და ჰერემის—500 კუბ. საჟ. 38. შინიხის—65 კუბ. საჟ. ტყის გაჩეხის, შეშის დამზადების და გადატანის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, მიწათ მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებაში (პეტრე დიდის ქ. № 22) 12—3 საათამდე. 957 3—2


სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.